სსიპ საქართველოს
ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE
TEACHING UNIVERSITY OF
PHYSICAL EDUCATION AND
SPORT

№ 01-27 „28“ თებერვალი 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის საკონკურსო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 იანვრის (ოქმი №5) დადგენილებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აკადემიური პერსონალისათვის საკონკურსო კრიტერიუმები, დანართის მიხედვით.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს 2019 წლის პირველი მარტიდან.
3. ბრძანება მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

რექტორი **ჯემალ ძაგანია**

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49 ტელ.:+995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.ge

დანართი

საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისთვის

1. **გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში)**:**

1.1. სტატია თუ გამოქვეყნებულია Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters-ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე თემატურ ჟურნალში – თითო ასეთი სტატია – 30 ქულა;

შენიშვნა: საქართველოში გამოცემული რამოდენიმე საერთაშორისო ჟურნალიდან, ზემოაღნიშნულ ბაზებში შედის მხოლოდ ორი:
(ა) მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე (ISSN - 0132-1447);
(ბ) Georgian Medical News (ISSN - 1512-0112).

1.2. სტატია თუ გამოქვეყნებულია საქართველოს ან საზღვარგარეთის რომელიმე სხვა საერთაშორისო ჟურნალში (რომელიც შეიძლება შედიოდეს ან არ შედიოდეს Google Scholar-ის საძიებო სისტემაში) – თითო ასეთი სტატია – 15 ქულა;

1.3. რესპუბლიკური მასშტაბის ჟურნალებში გამოცემულ ყოველ (ქართულენოვან ან უცხოენოვან) სამეცნიერო სტატიაზე – 5 ქულა.

2. **გამოქვეყნებული წიგნები** (ბოლო 10 წლის განმავლობაში)**:**

2.1. შესაბამის დარგში გამოცემულ ყოველ წიგნზე – 60 ქულა;
წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები.
2.2. პოლიგრაფიულად დასტამბულ ყოველ მონოგრაფიაზე (მინ. 100 გვ.) – 40 ქულა;
2.3. პოლიგრაფიულად დასტამბულ დამხმარე პროფილურ წიგნზე (მინ. 60 გვ.) – 20 ქულა;
2.4. გამოცემული პროფილური ბროშურა (25-60 გვ.), თითოეულზე – 5 ქულა.
იმ შემთხვევაში, თუ სტატიას/წიგნს/ბროშურას (იხ. 1.1.-2.4) ჰყავს რამდენიმე ავტორი, მაშინ, კონკურსში მონაწილე კანდიდატი მიიღებს მოცემული ქულის შესაბამის პროცენტს, ავტორთა რაოდენობის მიხედვით.

3. **სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა** (ბოლო 5 წლის განმავლობაში):

3.1. საქართველოში, ადგილობრივ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) – 4 ქულა;
3.2. საქართველოში, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) – 7 ქულა;
3.3. საზღვარგარეთ, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) – 10 ქულა;
3.4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, საორგანიზაციო კომიტეტის წევრის რანგში – 15 ქულა;
3.5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის რანგში – 30 ქულა.

4. **კრებულის/წიგნის/მონოგრაფიის რედაქტორობა:**

4.1. საერთაშორისო, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (თითოეულზე) – 15 ქულა;
4.2. ადგილობრივი, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (თითოეულზე) – 5 ქულა;
4.3. პროფილური წიგნის რედაქტორობა (თითოეულზე) – 10 ქულა;
4.4. პროფილური დამხმარე წიგნის რედაქტორობა (თითოეულზე) – 5 ქულა;
4.5. მონოგრაფიის რედაქტორობა (თითოეულზე) – 8 ქულა.

5. **თარგმანები:**

5.1. პროფილური წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული) – 15 ქულა;
5.2. პროფილური დამხმარე წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული) – 10 ქულა;
5.3. პროფილური მონოგრაფიის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული) – 10 ქულა.

6. **პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება:**

6.1. დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე – 10 ქულა;
6.2. დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე – 20 ქულა.

7. **საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა:**

7.1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 6 ქულა;
7.2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 3 ქულა;
7.3. ბაკალავრის ან მაგისტრანტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 3 ქულა.

8. **სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა:**

8.1. სამეცნიერო საბჭოს წევრობა (თოთოეულზე) – 10 ქულა;
8.2. სარედაქციო საბჭოს წევრობა (თოთოეულზე) – 5 ქულა.

9. **საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება:**

9.1. უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა–თითოეული ვიზიტი – 10 ქულა.

10. **საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებში ტრენინგის ჩატარება:**

10.1. თითოეული ასეთი ჩატარებული ტრენინგი – 5 ქულა.

11. **მუშაობის სტაჟი:**

პედაგოგიური საქმიანობა (პროფილური), სტაჟის/წლების მიხედვით:
11.1. 20-ზე მეტი – 20 ქულა;
11.2. 20 წლამდე – 16 ქულა;
11.3. 15 წლამდე – 12 ქულა;
11.4. 10 წლამდე – 8 ქულა;
11.5. 5 წლამდე – 4 ქულა.

12. **სპორტული მიღწევები:**

12.1. ოლიმპიური ჩემპიონი – 60 ქულა;
12.2. ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი – 40 ქულა;
12.3. ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი – 30 ქულა;
12.4. ოლიმპიური თამაშების მონაწილე – 20 ქულა.
12.5. მსოფლიო ჩემპიონი – 50 ქულა;
12.6. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი – 35 ქულა;
12.7. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი – 25 ქულა;
12.8. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე – 15 ქულა.

12.9. ევროპის ჩემპიონი – 40 ქულა;

12.10. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი – 30 ქულა;
12.11. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი – 20 ქულა;
12.12. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე – 10 ქულა.

13. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა (ბოლო 4 წლის განმავლობაში)**:**

მსაჯის რანგში –

13.1. ოლიმპიურ თამაშებზე მსაჯობა – 20 ქულა;
13.2. მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა – 15 ქულა;
13.3. ევროპის ჩემპიონატზე მსაჯობა – 10 ქულა;
13.4. საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მსაჯობა – 8 ქულა;
13.5. საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მსაჯობა – 6 ქულა;
13.6. საქართველოს ჩემპიონატის მსაჯობა – 4 ქულა.

მწვრთნელის რანგში –

13.7. ოლიმპიურ თამაშებზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 30 ქულა;
13.8. მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 20 ქულა;
13.9. ევროპის ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 15 ქულა;
13.10. საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 12 ქულა;
13.11. საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 8 ქულა;
13.12. საქართველოს ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში – 5 ქულა.

შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს:

- **პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 180 ქულას.**
  - ამასთან, აუცილებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში პირს გამოქვეყნებული ჰქონდეს 2 პროფილური სტატია, 1.1. და/ან 1.2. პარაგრაფებში აღნიშნულ საერთაშორისო ჟურნალებში.

    შენიშვნა:
    ა). ეს ორი სტატია თუ შესრულებულია რამოდენიმე ავტორის მიერ, აუცილებელია, რომ პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი პირი ორივეში მითითებული იყოს პირველ ავტორად;
    ბ). იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტები თანაბარ ქულებს დააგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც უფრო მეტი სტატია ექნება გამოქვეყნებული 1.1. პარაგრაფში აღნიშნულ ჟურნალ(ებ)ში.

- **ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 120 ქულას.**
  - ამასთან, აუცილებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში პირს გამოქვეყნებული ჰქონდეს 1 პროფილური სტატია, 1.1. და/ან 1.2. პარაგრაფებში აღნიშნულ საერთაშორისო ჟურნალში.

    შენიშვნა:
    ა). ეს სტატია თუ შესრულებულია რამოდენიმე ავტორის მიერ, აუცილებელია, რომ ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი პირი მითითებული იყოს პირველ ავტორად;
    ბ). იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტები თანაბარ ქულებს დააგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც უფრო მეტი სტატია ექნება გამოქვეყნებული 1.1. პარაგრაფში აღნიშნულ ჟურნალ(ებ)ში.

- **ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 80 ქულას.**

შენიშვნა:

1. ყოველი გამოქვეყნებული სტატია, რომელსაც კონკურსანტი წარმოადგენს, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსოდ გამოცხადებულ სპეციალობას.
2. მე-12 და მე-13 პარაგრაფები ეხება მხოლოდ სპორტული დიციპლინების მიმართულების კონკურსანტებს.
3. კონკურსანტის ყოველი მონაცემი სათანადო დოკუმენტაციით, საბუთით უნდა იყოს დამტკიცებულ-დადასტურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია შეფასების, ქულის გარეშე დატოვებს კონკურსანტის დაუსაბუთებელ მონაცემებს.

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის **დამატებითი კრიტერიუმებია**:

ა). ციტირების ინდექსის სიდიდე Scopus-ში;

ბ). სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

ბ). პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) უცხო ენების ცოდნა.

დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა მეტი იქნება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობაზე და ისინი დააგროვებენ თანაბარ ქულებს.